საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 50 კაპ.

ერთადერთი პირველი

მთავრობის მოამბე

უოველდღიური გაზეთი

№ 85 სუთშაბათი, 7 ნოემბერი, 1918 წ. № 85

დღეს ჩვენს გაზეთს დართული აქვს ბანკის განცხადება 6 ფურცელი.

მთავრობის მოამბე უოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

დერა ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

ცენტრალური სასურსათო საბჭოს რწმუნებული

აცხადებს, რომ თანახმათ ცენტრალურ სასურსათო საბჭოს 4 ნოემბრის ამა 1918 წ. დადგენილებისა ბადიაურის თივაბჭის დასამზადებელ სადგურზე (ახალთის რკინის გზის ბადიაურის სადგურის მახლობლად) კირას, 10 ნოემბერს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა აღნიშნულ სადგურის ზედმეტი ცხრა ცხენისა 1000 4—2

ი. გრიშაშვილი

საჯაროება

იყიდება „სახალხო საქმის“ რედაქციაში

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მედიკო-სანიტარული განყოფილება

იწვევს სიღნაღის მაზრისათვის ექიმებს და მათ თანაშემწეებს (ფერშლებს). პირობები: ექიმს ოვენი ათასი მანეთი ჯამაგირი და ბინა; მის თანაშემწეს თვეში 666 მ. 66 კ. და ბინა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება განყოფილების კანცელარიაში, ქნარიელის ქუჩა, 10, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. 1007 1—1

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილება

ამით აუწყებს ექიმებს, რომ გაიმეორებითი კურსები, რომელიც უნდა გახსნილიყო განყოფილებასთან ეპიდემიურ საქმის მცოდნე ექიმების მოსამზადებლათ გადაიდო, ვინაიდგან ეროვნად გავრცელებულია ეპიდემია ინფლუენციისა და შეუძლებელი ხდება იქიდან ექიმების გაწვევა. 1008 1—1

კავკასიის ბანკის გამგეობა

აცნობებს ბ. ბ. აქციონერებს, ბანკის წესდების მე-54 და 55 §§ თანახმად, ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, დილის 1 საათზე ბანკის შენობაში (შტაბის ქუჩა) დანიშნულია ბანკის აქციონერთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. განსახილველი საგნებია: 1. ბანკის ზოგიერთი განყოფილების დახურვა და ახალი განყოფილების გახსნა. 2. მიმდინარე საკითხები ბანკის წესდების მე-51 § თანახმად, საერთო კრებაზე დასწრება შეუძლიათ ყველა აქციონერებს, გადამწყვეტი ხმა კი ენჭნება მხოლოდ იმ აქციონერს, რომელსაც აქვს აქციები არა ნაკლები 25-ზე. კრებაზე მონაწილეობის მისაღებად აქციების პატრონები ვალდებულნი არიან 7 დღით ადრე კრებამდე წარმოადგინონ ბანკის გამგეობაში აქციები ან საკრედიტო დაწესებულებათა შესაფერი მოწმობები. წესდების მე-52 § თანახმად, აქციონერს შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა ან პირადათ ან რწმუნებულის სახით, ამასთანავე რწმუნებულად შეიძლება იქნეს მხოლოდ აქციონერი. ვექილობა უნდა იქნეს წერილობითი და უნდა წარედგინოს გამგეობას არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრებამდე. აქციების მიღება შესწყდება 20 ნოემბერს, დღის 1 საათზე. წესდების მე-56 § თანახმად, საზოგადო კრება კანონიერად ჩაითვლება თუნდაც მას დაესწროს აქციონერების, პირადათ ან რწმუნებულებით, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად თანხის ერთ მეხუთედს. თუ კრებაზე დაესწრო არ იქნება აღნიშნული პირობები, მეორე კრება დანიშნულია 1918 წ. დეკემბრის 11, დილის 1 საათზე, იმავე შენობაში. კრება კანონიერათ იქნება ჩაითვლილი, მიუხედავათ იმისა თუ რამდენი აქცია იქნება წარმოდგენილი. 886 1—1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა. ხუთშაბათს, 7 ნოემბერს ტ. ი. სამანეევას, ბ. ი. ზალიპსკისა და ვ. ა. ნიკოლსკის მონაწილეობით

ლაკმე

ოპერა სამ მოქმედებად. ფასები საგრძნობლად დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე პარასკევს, 8 ნოემბერს მ. ი. ალეშკოს, ა. მ. კანშინისა და ტ. ს. ორდას მონაწილეობით „აიდა“ საოპერო სეზონის წარმომადგენელი ს. ი. ევლახოვი.

ანგარიშსწორება

5 000 000 მან.

ქართულ უნივერსიტეტის

და

თეატრის სასარგებლოთ.

პირველი მოგება 100000 მანეთია

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

ექიმი ი. კ. აგაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკაურებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ ქლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

ტფილისის ოლქის მიღიციის უფროსისა.

1918 წ. ოქტომბრის 31-ს.

№ 285.

§ 1.

სამსახურიდან დათხოვნილია საბურთალოს უბნის უფროსი მილიციელი მაკაროვსკი ამ რიცხვიდან საბურთალოს უბ. კომისრის მოხსენების № 1266 თანახმად.

§ 2.

მეორე უბნის უმცროსი მილიციონერი შალვა ჭანტურია, რომელიც უფროსი მილიციონერის თანამდებობას ასრულებდა გადაყვანილია იმავე თანამდებობაზე, მე-12 უბ., თანახმად მე-12 უბნის კომისრის მოხსენებისა № 6134.

§ 3.

მეცხრე უბნის უმცროსი მილიციონერი ტიგრან ანდრიასოვი გადაყვანილია იმავე თანამდებობაზე მე-8 უბანში, თანახმად მერვე უბნის კომისრის მოხსენებისა.

§ 4.

მეათე უბნის უფროს მილიციონერათ დაინიშნა დავით მიხეილის ძე დათუაშვილი ამ რიცხვიდან.

§ 5.

ჩემდამი რწმუნებული სამმართველოს მოანგარიშე კულჩიცკი დანიშნულია სამსახურში არა პირველ სექტემბრიდან როგორც № 240 ბრძანებაში იყო მოხსენებული, არამედ 29 აგვისტოდან.

§ 6.

მილიციის ბრძანების № 230 მე-15 §, სალმობით მეცადინეობის შესახებ, ვრცელდება ხაზინადარზედაც და ეკზეკუტორზედაც.

§ 7.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის № 4482, მოხსენების თანახმად, სამსახურიდან დათხოვნილია სისხლის სამართლის უმცროსი მილიციონერი ალექსი ბურჯულაძე.

§ 8.

მესამე უბნის კომისრის მოხსენების თანახმათ სამსახურიდან დათხოვნილია მესამე უბნის უმცროსი მილიციონერი დავით ბაბატიანი, თავის ნებით სადარაჯოს დატოვების გამო.

§ 9.

მეორე უბნის უმცროსი მილიციონერი იორდანე ბერძენიშვილი ორი კვირით სამსახურიდან თავისუფლდება.

§ 10.

სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, სამსახურიდან დათხოვნილია მესამე უბნის უმცროსი მილიციონერი პავლე ეძგვერაძე.

§ 11.

თავის დროზე სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, სამსახურიდან დათხოვნილია მე-12 უბნის უმცროსი მილიციონერი დომენტი ქვირკველია.

§ 12.

ტფილისის ქალაქის მმართველობის დადგენილებით, კომისარი კონსტანტინე ესტატეს ძე კვესაძე სამსახურიდან თავიფსულია ერთათ თვით, ავადმყოფობის გამო, ჯამაგირის შენახვით.

§ 13.

სისხლის სამართლის მილიციის უფროს მილიციონერათ დაინიშნენ პეტრე ესტატეს ძე მანიევი, იასე ტაგაევი და დოლიძე ამ რიცხვიდან.

§ 14.

ბრძანება № 274 უმცროსი მილიციონერის ყენიას დათხოვნის შესახებ, შეცვლილია, მეცხრე უბნის კომისრის მოხსენების თანახმად.

§ 15.

განკარგულება № 248, მეცხრე უბნის უმცროს მილიციონერის დატუსაღების შესახებ, შეცვლილია მეცხრე უბ. კომისრის მოხსენების თანახმად.

§ 16.

საბურთალოს უბნის მოსამსახურე ვალენტინა იანოვსკაია მილიციონერის ჯამაგირით გადაყვანილია მეორე უბანში ამ რიცხვიდან, კომისრის მოხსენების თანახმად.

§ 17.

წარმოდგენილი საბუთების თანახმად, უმცროს მილიციონერს კონსტანტინე გამყრელიძეს, სახალხო გვარდიაში სამსახურის დროს სოხუმის ფრონტის ბრძოლაში დაუკარგავს რევოლვერი, რომლის ანაზღაურება მისგან არ მოითხოვება.

§ 18.

საბურთალოს უბნის მილიციის მოსამსახურედ დაინიშნა ალექსანდრე ივანეს ძე ბონდარაიანი, ამ რიცხვიდან, საბურთალოს კომისრის მოხსენების თანახმად.

§ 19.

თხოვნის თანახმად, მეორე უბნის მილიციონერი სიმონ ამილახვარი სამსახურიდან დათხოვნილია.

მილიციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი უ რ უ შ ა ძ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ოფიციალური განყოფილება

ტფილისი, 7 ნოემბერი.

მრავალ ტანჯულ-გვემული ქართველი ერი, რომელსაც საუკუნოების განმავლობაში ისტორიის მთელი სიმძიმე მამაცათ გადაუტანია. მრავალჯერ წამებული და განადგურებულ-გაპარტახებული ქართველი ხალხი, რომელსაც ცეცხლი და მახვილი ხშირათ მოსდებია. მრავალჯერ აოხრებული და აწიოკებული საქართველო—იმდენათ ძლიერი და ვაჟკაცურისულისა გამოდგა, რომ მეცხრამეტე საუკუნემდე მიაღწია თავისი სახით. განუწყვეტელ ბრძოლაში დასუსტებულმა და დაავადებულმა მან თავი შეაფარა დიდს, ძლიერ რუსეთს და მიუხედავათ საშინელი გადამგვარებელი პოლიტიკისა შესძლო ისტორიის ახალ ასპარეზზე კვლავ თავისი სახით გამოსულიყო და თავისი ვინაობა ყველასათვის ეცნობებია.

მსოფლიო ომის ქარტეხილში ჩავარდნილმა საქართველომ შესძლო თავი გადაერჩინა, ფიზიკურ გაჟლეტას ასცდენოდა და თავისი სახელმწიფოებრივი სახე განემტკიცებია.

დიადია და დაუფასებელი ღვაწლი მათი, რომელნიც ხელმძღვანელობდენ საქართველოს და თავდავიწყებით მუშაობდენ მის გადასარჩენათ. დაუფასებელია ის გრანდიოზული მუშაობის უნარი და პოლიტიკური სიბრძნე, რომელიც ქართველმა დემოკრატიამ გამოიჩინა და განახორციელა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა—ეს ცარიელი სიტყვა კი არ არის,—ეს სახელმწიფოს განამდვილება,—ეს დიადი ფაქტია, და ეს ფაქტი წაუშლელათ ისტორიაში აღბეჭდა საქართველომ და მისმა პარლამენტმა, მთავრობამ.

დროებითი პარლამენტი და მისი მთავრობა მეთაურობდა და დღესაც ბელადობს საქართველოს და ამთაგორებულ—ატყორცნილ ოკეანეში მის საჭეს მშვიდობიანობის ნაპირისაკენ დაუზოგველათ მიმართავს.

მტრები და ორგულნი ბევრი ჰყავს მას. მტრები და ორგულნი დაუდგრომლათ თავს ესხმიან მას: მალულათ, აშკარათაც. მაგრამ საქართველომ შესძლო მათი მოგერება—დამარცხება.

საქართველო, გვწამს, შესძლებს ამას მომავალშიც.

მიუხედავათ იმისა, რომ მტრები და ორგულნი გაშმაგებით და კბილთა ღრჭენით ილაშქრებენ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წინააღმდეგ, უკიჟინებენ მას არა უფლება-მოსილობას და დემოკრატიზმის უარყოფას,—ტყუილათ! საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ, უაღრესათ დემოკრატიულმა, აწარმოვა და აწარმოებს წმინდა დემოკრატიულ მუშაობას რესპუბლიკის განსამტკიცებლათ და გასამაგრებლათ.

საქართველოს პარლამენტმა უკანასკნელ თავის სხდომებზე განიხილა და დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება—ვიტყვით: უდემოკრატიულესი დებულება! საქართველოს მოქალაქენი თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით აირჩევენ დამფუძნებელი კრების წევრებს. ყველა თავისუფალია. ყველას ნების გზა ხსნილი აქვს და თავის ნება-ყოფლობას სრულიად თავისუფლათ გამოსთქვამს არჩევნებში. მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები თავისუფალ არჩევნების დასაცავათ.

და მოვა საქართველოს მთელი ნება, ხალხის სურვილი. ჩადგება იგი სათავეში.

და სრულუფლებოვან-მოსილი გასწევს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება-აყვავების გზაზე.

საქართველოს ისტორიის ფურცლები უკანასკნელ ხანამდე ხმლით იჭრებოდა და სისხლით იწერებოდა.

საქართველოს მომავალი ისტორიის ფურცლები თვით საქართველომ უნდა ჩამოსჭრას და თავისი კულტურული წვლილით აღბეჭდილი საერთაშორისო სალაროში უნდა შევიდეს.

საუბარი ნ. ი. ქარცივაძესთან

გუშინ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობის წინაშე ნ. ი. ქარცივაძეს ჰქონდა საუბარი ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან მთელ რიგ პოლიტიკურ საკითხთა შესახებ.

ნ. ი. ქარცივაძე მხოლოდ რამოდენიმე დღეა, რაც დაბრუნდა ბაქოდან ტფილისში. საუბრის შინაარსი მოგვყავს აქ რაც შეიძლება დაწვრილებით, რადგანაც ბაქოში მომხდარ ამბების გასათვალისწინებლათ და დღევანდელ ბაქოს ვითარების გასაცნობათ მას აქვს, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა. ბატ. ნ. ი. ქარცივაძესთან ერთად ტფილისში ჩამოვიდნენ ბაქოდან შემდეგი პირნი: ჩრდილო-კავკასიის მთიელთა კავშირის ფინანსთა მინისტრი და ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ბატ. ჯაბაგიევი, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლის საბჭოს წევრი ბატ. ტოლსტონოგოვი და ბატ. ყიფიანი (სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი) და ადერბეიჯანის რკინის გზის უფროსი ბატ. თემურ-ბეგ მელიქ-ასლანოვი, ძმა ადერბეიჯანის რკინის გზის მინისტრისა ბატ. მელიქ-ასლანოვისა.

ყველა ეს პირნი ტფილისში ჩამოვიდნენ განსაკუთრებული მატარებლით.

ჩამოსვლის მიზანი.

ბ. ჯაბაგიევი და თემურ-ბეგ მელიქ-ასლანოვის ტფილისში ჩამოსვლა არის გამოწვეული იმ საკითხების გამო, რომელიც უნდა იქნას გადაწყვეტილი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით და რომელიც შეეხებიან საქართველოს, ადერბეიჯანის და მთიელთა რესპუბლიკის ურთი-ერთობის საქმის მოწესრიგებას.

ქ. ბაქოს დღევანდელი მდგომარეობა.

იმ დიდი გაჭირვების შემდეგ, რომელიც ბაქოს არგუნა ბედმა, როგორც მარტში, ისე სექტემბერში მომხდარ ამბების დროს, სთქვა ბატ. ნ. ქარცივაძემ, ნორმალური ცხოვრება ისევე უბრუნდება ქალაქს, მშვიდობიანი ცხოვრება თანდათან იკიდებს ფეხს ყოველ დარგში, ნავთის წყაროების რაიონებშიაც მუშაობა თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც იწყება. თვით ქალაქში მართალია, საქონელი ნაკლებათ არის, მაგრამ ვაჭრობა მაინც სწარმოებს.

ადერბეიჯანის მთავრობამ მიიღო მკაცრი ზომები, რათა მშვიდობიანი ცხოვრება ქალაქში არაფრით არ იქნეს დარღვეული და კიდევაც მიაღწია მან ამ შემთხვევაში თავის მიზანს: ცარცვა-გლეჯას, რაიმე უწესოებას და საზოგადოთ ექსცესებს დღეს ბაქოში ადგილი არა აქვს.

ზარალი მარტში და სექტემბერში.

მწუხარებით უნდა დავადასტურო ის ცნობა, რომ როგორც მარტში, ისე სექტემბერში მომხდარ ამბების დროს დახოცილთა რიცხვი და ნივთიერი ზარალი, დიდია. არ შემიძლიან არც ერთ, არც მეორე შემთხვევაში სრული სისწორით აღვნიშნო რაოდენობა ამ რიცხვისა, მხოლოდ ვფიქრობ, რომ სექტემბერში დახოცილთა რიცხვი 20—25 ათასი სული, რომელიც ნაჩვენები იყო ტფილისის გაზეთებშიაც, სინამდვილეზე ახლოს უნდა იყოს.

სრულიად კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ოსმალეთის და აგრეთვე ადერბეიჯანის რეგულიარულ ჯარს ქ. ბაქოს დარბევაში და მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტაში არ მიუღია არავითარი მონაწილეობა. ნათლათ სჩანს, რომ სექტემბერში იმ დიდმა უბედურებამ, რომელიც თავს დაატყდა ბაქოს, უკვე სტიქიური ხასიათი მიიღო.

ნივთიერი ზარალი დიდია, როგორც ნავთის წყაროების რაიონებში, ისე თვით ქალაქშიაც.

ნავთის რაოდენობა ბაქოში.

ბაქოში ამ ჟამად არის დაახლოვებით ასი მილიონი ფუთი ნავთი. ადერბეიჯანის მთავრობას აქვს განზრახვა ეს ნავთი გამოიყენოს სხვა სახელმწიფოებთან საჭირო საქონლის გაცვლის დროს. სხვათა შორის, რამდენადაც მე ეს ვიცი, ადერბეიჯანის მთავრობას უნდა შეინახოს და მისცეს რუსეთს ის % ნავთისა, რომელიც მისთვის საჭირო იყო წინეთ და რასაკვირველია, საჭირო არის დღესაც.

ნავთის გამოგზავნა საქართველოსათვის და ხელშეკრულებების საკითხი.

ჩვენი მთავრობის სახელით ჩვენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად ვიმუშავებთ ორ გვარ ხელშეკრულებას. ერთი შეეხება იმ საქონელს, რომელმაც უნდა გაიაროს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია, მაგალითად ნავთი საქართველოთი უნდა იქნას გაგზავნილი, როგორც უკრაინაში, ისე ოსმალეთში და საზოგადოთ დასავლეთ ევროპაში.

მეორე ხელშეკრულება კი შეეხება საქონლის გაცვლა-გამოცვლას და საზოგადოთ საეკონომიო საკითხებს. სულ მალე, გვაქვს იმედი, ეს ხელშეკრულებები იქნებიან სავსებით შემუშავებული და შევლენ კიდევაც ძალაში. მხოლოდ სანამ ეს მოხდებოდეს და სანამ საქართველო მიიღებდეს ბაქოდან საჭირო ნავთს, რაზედაც პრინციპიალური თანხმობა ადერბეიჯანის მთავრობამ უკვე განაცხადა, გადაწყვეტილია ყოველდღიურად გამოგზავნოს ბაქოდან 21 ცისტერნი ნავთი, ასი ცისტერნი უკვე გამოგზავნა და მოვიდა დანიშნულებისამებრ. დანარჩენებიც იგზავნებიან. მხოლოდ 50 ცისტერნი აქ გამოსაგზავნი ნავთი, სავსენი სდგანან ბაქოს სადგურზე, რადგანაც არა აქვთ საჭირო რიცხვი ორთქლმავლისა.ამ გარემოების გამოსაწყობად საქართველოს მთავრობამ მიიღო ყველა საჭირო ზომები. ამას გარდა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნავთის გადმოსაქაჩი მილები დიდი სიჩქარით სწორდებიან და სულ ახლო მომავალში შეგვეძლება მათი საშუალებით ნავთი მივიღოთ ტფილისში.

ადერბეიჯანის მომავალი.

ადერბეიჯანის რესპუბლიკას, ეჭვს გარეშე, დიდი მომავალი აქვს. მისთანა ნივთიერი სიმდიდრე, როგორიც არის ნავთი, ბამბა, სპილენძის მადნები და სათევზე ადგილები და სხვა. რასაკვირველია, იქნება დაუშრეტელი წყარო სახელმწიფოს კეთილდღეობისა, მისი აყვავებისა. ყველა ამას თუ მიუმატებთ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ბაქო-ჯულფის რკინის გზის დასრულების და მიმოსვლის დამყარების შემდეგ, ბაქო შეიქნება იმ პუნქტად, რომლითაც გავა უმოკლესი გზა ჩრდილო-კავკასიიდან და საზოგადოთ რუსეთიდანაც სპარსეთში, რასაც ექნება უდიდესი მნიშვნელობა რესპუბლიკის დედა ქალაქ ბაქოსა და მთელი სახელმწიფოისათვის; თუ გავითვალისწინებთ ყველა ამას, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ ადერბეიჯანის მომავალი კეთილდღეობა უზრუნველყოფილია.

(დასასრული ხვალ)

საქართველოს პარლამენტის ნოემბრის 5 სხდომა

თავმჯდომარეობს ნიკოლოზ ჩ ხ ე ი ძ ე.

კრება იხსნება 12 ს. და 15 წუთზე.

პარლამენტი ისმენს მაჰმადიანთა წარმომადგენლის ალი ჰადარ-კარაის წერილობით განცხადებას, რომელშიც პარლამენტის წევრი აღნიშნავს, რომ ქართულ ენის უცოდინრობის გამო იგი გადის პარლამენტიდან.

განათლების მინისტრი გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი (ს. ფ.) მოითხოვს, რომ დღიურ წესრიგიდან მოიხსნას კანონ-პროექტი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა ყველა ტიპის და საფეხურის სახელმწიფო და კერძო სკოლებში, ვინაიდან იგი მთავრობას ჯერ არ განუხილავს და თავისი აზრი არ წარმოუდგენია.

პარლამენტი იღებს მინისტრის წინადადებას.

ალ. ა ხ მ ე ტ ე ლ ი (რად. დემ.) აღნიშნავს, რომ მას განზრახვა ჰქონდა შეჰხებოდა ჩვენსა და სომხების შორის მომხდარ კონფლიქტს, მაგრამ რადგან მთავრობამ საჯაროდ განაცხადა, რომ იგი მზადაა გადასწყვიტოს ატეხილი დავა როგორც ომით ისე მშვიდობიანის გზით და ამასთან, რაკი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში არ არსებობს არც ერთი პარტია, არამედ არსებობს ერთი მთლიანი საქართველო, რაკი მთავრობა აცხადებს, რომ იგი არასოდეს არ უღალატებს რაინდულს გამოწვდილ გერმანიის ხელს,—იგი ხსნის თავის შეკითხვას.

რ. არსენიძე (ს. დ.) უდგენს პარლამენტს საბოლოო ტექსტს შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების კანონისას.

შ. ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი (ერ.დემ.) უდგენს პარლამენტს საბოლოო ტექსტს გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატების და ხარჯ-აღრიცხვის კანონისას.

პარლამენტი ორივე კანონის საბოლოო ტექსტს ამტკიცებს.

დ. ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი (ს. დ.) მოახსენებს პარლამენტს სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვის კანონპროექტს.

პარლამენტი უკამათოდ იღებს როგორც კანონ-პროექტს, ისე ხარჯთ-აღრიცხვას.

კამათს იწვევს აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შედგენის კანონ-პროექტი, რომლის შესახებაც მომხსენებელია დ. ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ სტატისტიკის განყოფილების დანიშნულება არის შესწავლა ქაოტიურად დაგროვილ სასტატისტიკო მასალისა და ამა თუ იმ დასკვნის გამოტანა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გარდა 1917 წ. მომხდარ სამეურნეო სტატისტიკურ აღწერილობისა მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოეპოვება სხვა და სხვა დოკუმენტები ევრედწოდებულ საადგილ-მამულო მომწყობ კომისიებისა, რომელთაც უნდა შედარება მომხდარ აღწერილობასთან. გარდა ამ ორ მიზნისა, მომხსენებელის აზრით, ამ ორგანოს დაარსებით, რომელიც დროებითია, (იარსებებს 9—10 თვე) შეიძლება საფუძველი ჩაეყაროს იმ მუდმივ ორგანოს, ცენტრალ სტატისტიკურ ორგანოს, რომელიც ასე საჭირო არის ყველა სახელმწიფოსათვის.

გ. ვ ე შ ა პ ე ლ ი (დ. ერ. დ.) აღნიშნავს, რომ ეს საკითხი აგრარულ კომისიაში არ გატარებულა. ამასთან, ორატორის აზრით, თუ ჩვენი ხელმძღვანელნი ევროპიულ წესს ატარებენ—სტატისტიკა ცოტა უფრო ადრე უნდა ყოფილიყო შეკრებილი თორემ, შეიძლება ითქვას, რევოლიუციის გაღრმავების გამო სტატისტიკა ზედმეტი აღმოჩნდეს და ვერავითარი გავლენა ვერ იქონიოს ცხოვრებაზედ. ორატორის აზრით, ეხლა, როდესაც უკვე მზად არის დარიგების ნორმა, ამ სტატისტიკურ საქმის დაწყება არ შეიძლება ჩაითვალოს მიზან შეწონილად, თუმცა შეიძლება ეს დამფუძნებელ კრებას ერგოს მემკვიდრეობად და მან ხელი შეუწყოს სხვა და სხვა კანონების გარდახედვის დროს.

შემდეგ ორატორი ეხება იმ გარებოების, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყებაში თითქმის ყველა თანამდებობის პირნი უცხოელები არიან. ორატორის აზრით, შეიძლეეს იმით აიხსნას, რომ საქართველოში აგრარული რეფორმა ეს ისეთი საგანია, რომელიც საჭიროებს პოლიტიკურ საჭურისებს, რომელნიც არ შევლენ იმის განხილვაში თუ როგორ შეეხება ეს რეფორმა ცხოვრებას. ალბად იმიტომ არის, რომ სხვა და სხვა სპეციალობიდან გადმოდიან ამ სამინისტროში. შემდეგ ორატორს მოჰყავს სია ამ უწყებაში მიღებულ სხვა და სხვა უცხო პირთა. უკანასკნელი პირი რომელიც თავს აძლევს (возглавляеть) მათ არის ბ. სოკოლოვი, რომელმაც გამოსცა ცნობილი ბრძანება № 1 (ხმები: არ გამოუცია) ან და მონაწილეობა მიიღო (არც მონაწილეობა მიუღია) ორატორს უკვირს, რომ სოკოლოვი, რომელსაც არავითარი სტაჟი არ მიუძღვის აგრარული, დანიშნულია საქართველოს ტერიტორიის საადგილ-მამულო გამგეობის თავმჯდომარედ. ორატორი აღნიშნავს, რომ ამ სოკოლოვმა ითავა სოხუმში აჯანყებულების გამოშვება. მან გამოაშვებინა დემინოვი. იგი გახლდათ შუამავალი დატუსაღებულ ბოლშევიკების განთავისუფლებაში და თუ ასე გაგრძელდა მისი მოღვაწეობა ერთ-ორ ტუსაღს კიდევ გამოიყვანს თავის კისერზე. ასეთი უკუღმართი რეორგანიზაცია მიწათ-მოქმედების სამინისტროსი მიუღებელია. ასეთი პირების მიერ შედგენილი სტატისტიკა გამოუსადეგარი იქნება.

მთავრობაში

სახალხო სახლი.

მთავრობამ მოისმინა ქალაქის სახალხო სახლთან არსებულ სახალხო წარმოდგენების მართველ წრის გამგეობის თხოვნა დახმარებაზე და დაადგინა: გადაეცეს განათლების მინისტრს მთავრობისთვის მოსახსენებლად საჭირო ცნობების დამატებით.

შეშა რკინისგზელთათვის.

რკინის გზის მოხელეთათვის შეშის გადატანაზე შეღავათის მიცემის შესახებ მთავრობამ დაადგინა: გზათა მინისტრის მოხსენება 24 ოქტომბრის თარიღით შესახებ ნებადართვისა რკინის გზების მოხელეთათვის საკუთარ საჭიროებისათვის შეძენილი შეშის უფასოდ მიმოზიდვაზე რკინის გზებზე მიღებულ იქმნას.

სასურსათო საბჭო.

მთავრობამ მოისმინა მოხსენება სასურსათო საბჭოს თავმჯდომარისა საბჭოს დროებითი დებულების და შტატების შესახებ და დაადგინა: ა) სასურსათო საბჭოს დროებითი დებულება პრინციპიალურად მიღებულ იქმნეს, ხოლო წვრილმან შესწორებისათვის გადაეცეს შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს. ბ) შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა დაუბრუნდეს სასურსათო საბჭოს შესასწორებლად სახელმწიფო კონტროლიორის და ფინანსთა მინისტრის დასკვნის მიხედვით.

სათბობი მასალა.

მთავრობამ მიანდო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს წინადადება მისცეს, ვისაც ჯერ არს რომ სახელმწიფო დაწესებულებათა მოთხოვნილება სათბობ მასალისა, დაკმაყოფილებულ იქმნას პირველ რიგში.

დ ა ხ მ ა რ ე ბ ა.

მატორიან ნავზე „ვერაზე“ დაღუპულ ინჟენერთა ოჯახთათვის დახმარებაზე მთავრობამ დაადგინა: ხსენებულ ინჟენერთა ოჯახთათვის დახმარების შესახებ საკითხი გადაეცეს დასკვნისათვის მთავრობის საქმეთა მმართველს.

ე რ ო ბ ა.

თანახმად მთავრობის თავმჯდომარის წინადადებისა დაევალოს კომისიას შემდგარს ყველა სამინისტროების წარმომადგენელთაგან შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით გადაეცეს უკვე შემდგარ ერობებს მათი ფუნქციები, საქმეები და კრედიტები. ამავე კომისიას მიენდოს გზათა მინისტრის მიერ წამოყენებული საკითხი ზოგიერთი საერობო გზების შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გზათა სამინისტროს გამგეობაში გადაცემის შესახებ.

გზათა სამინისტროში.

რევიზიის შემდეგ გამოძიება.

გზათა სამინისტრომ აცნობა გზათა მიმოსვლის ოლქის უფროსს, რომ იგი დანიშნულია იმ კომისიის თავმჯდომარეთ, რომელმაც

უნდა გამოიძიოს სახაზინო რკინის გზათა მართველობის ანგარიშთა წარმოებაში სახელმწიფო კონტროლის მიერ აღმოჩენილი სხვა და სხვა ბოროტმოქმედება და დაუდევრობანი. კომისიას უფლება ენიჭება მიიწვიოს საჭიროების მიხედვით მცოდნე და გამოსადეგი პირები. ამგვარივე ცნობა გაეგზავნა სახაზინო გზათა უფროსს, რომელიც ვალდებულია აღმოგიჩინოთ თქვენ ყოველივე დახმარება დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაში. სახელმწიფო კონტროლის რევიზიის გამო მიმოწერა სახელდობრ დასკვნა და შენიშვნები გაეგზავნა გზათა უფროსს. გევალებათ დაუყოვნებლივ შეუდგეთ თქვენი მოვალეობის აღსრულებას და აცნობოთ გზათა სამინისტროს დღე და რიცხვი გამოძიების დაწყებისა.

ტყვიბულის მუშათა საქმე.

რკინის გზის საერთო საქმეთა მმართველმა ბ. ფიცხელაურმა შემდეგი ტელეფონოგრამა გაუგზავნა ტყვიბულის კანტორის გამგეს: „კონტორის მოსამსახურეები ვალდებულნი არიან შეასრულონ სახელმწიფოებრივი მოვალეობა. საჩქაროდ შეადგინონ ყოველგვარი ანგარიშები მაღაროს მუშებისა და მოსამსახურეებისა რის შემდეგ, რადგანაც მაღაროს მუშაობა დახურულია, კონტორის მოსამსახურეები და ადმინისტრაცია დათხოვნილ იქნებიან“.

ნავთიან ადგილების კვლევა.

გზათა სამინისტროს განკარგულებით ინჟ. ზულგაკოვი გაიგზავნა შირაქისა და ფხოველის ნავთიან ადგილების კვლევა-ძიების საწარმოებლად.

ნავთის მანქანის გადაცემა.

გზათა მინისტრი სთხოვს მომარაგებელ კომიტეტის თავმჯდომარეს საჩქაროთ გადასცეს ინჟ. გონჩაროვს ფხოველის ნავთის მადნის საჭიროებისათვის ნავთ მანქანა—(ნევტომოტორი), რომელიც მოთავსებულია ძველ მე-14-ე სამხედრო ბაქანთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

განთავისუფლება.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით განთავისუფლებულ იქმნა ნაფიცი ვექილი გ. ქ. თაიროვი, რომელსაც 2 თვის ციხე ჰქონდა მისჯილი.

ზარალის გამოკვლევა.

გენ. ფონ-კრესმა შუამდგომლობა აღძრა საგარეო საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა ბორჩალოს მაზრის კარლ-ფონ-კუჩენბახის მამულის ზარალის აღსანუსხავათ მოწვეულ იქმნეს დაუყოვნებლივ შეერთებული ქართველ, თათარ და გერმანელთა კომისია. სამინისტრომ ეს შუამდგომლობა გაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სთხოვა თვისი დასკვნა ამ საკითხის შესახებ აუწყოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

სამხედრო სამინისტროში

ფორმის ტარება.

სამხედრო მინისტრის ბრძანებით ყველა ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ნამდვილ სამსახურში არ ირიცხებიან, ნება არა აქვთ სამხედრო ფორმის ტარებისა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ეს ბრძანება არ ეხება უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ მისიათა წევრთ საქართველოს რესპუბლიკაში და ამ მისიასთან ჩარიცხულ სამხედრო პირთ, გერმანიის ჯარის კაცებს, რომელნიც რესპუბლიკის სამსახურში იმყოფებიან. ის სამხედრო პირნი, რომელნიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში ირიცხებიან მოვალენი არიან ატარონ თან პიროვნების ვინაობის მოწმობა თვის პირდაპირ იმ უფროსთა ხელმოწერილი, რომელნიც უფლებებით არიან აღჭურვილნი არა უმცირეს უფლებისა განსაკუთრებულ ნაწილთა უფროსების.

ყველა კომენდანდანტებს და გარნიზონის უფროსთ ვავალებ სასტიკად ადევნონ თვალყური ამ ბრძანების შესრულებას.

განათლების სამინისტროში.

გიმნაზიის გადატანა.

განათლების სამინისტროს განუზრახავს ხაშურის გიმნაზია სურამში გადიტანოს.

შრომის სამინისტროში.

საათის ისრის უკან დაწევა.

შრომის მინისტრმა მთავრობას წარუდგინა მოხსენება საათის ისრის ერთი საათით უკან დაწევის შესახებ.

კანონ-პროექტები

პირველ-დაწყებით სასწავლებელთა გახსნის შესახებ

1. გაიხსნას ტფილისის გუბერნიაში 37 ახალი პირველ-დაწყებითი სკოლა.

2. გაიხსნას ახალი კომპლექტი 13 მრავალრიცხოვან სოფლის სკოლაში.

3. გაეხსნას განათლების სამინისტროს კრედიტი ახალ სკოლების და კომპლექტების შესანახავად ას ოც და ერთი ათას ოთხას ორმოცი (121440) მანეთი.

სამკურნალო მადნეულ აბანოების, წყლების და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებისა.

1. ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო, მადნეული აბანოები, წყაროები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე კურორტის მოწყობისათვის საჭირო ადგილები შეადგენენ სახელმწიფო საკუთრებას.

2. ხსენებულ აბანოების, წყაროების და ტალახების საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა ენდობა მიწათმოქმედების მინისტრს საექიმო უწყებასთან შეთანხმებით.

3. მიწათმოქმედების მინისტრს ენდობა აგრეთვე: ა) მიღება სახელმწიფო კუთვნილებად ჩამორთმეულ მადნეული აბანოების, წყლების, ტალახების და მათ გარშემო მდებარე ადგილებისა და ბ) განსაზღვრა იმ სასყიდლისა, რომელიც უნდა მიეცეს აბანოებისა, წყაროებისა, ტალახებისა და ადგილების პატრონებს შენობებისა და მათ მიერ გაკეთებულ მოწყობილების საფასურად, და აგრეთვე აბანოების, ტალახების და მათ გარშემო მდებარე ჩამორთმეულ ადგილების საფასურად, თუ ეს აბანოები, წყლები, ტალახები და ადგილები ქალაქშია ან და, თუმცა სოფლად, მაგრამ შედის იმ ნორმაში, რომელიც ამიერ-კავკასიის სეიმის 7 მარტის 1918 წ. კანონის ძალით დატოვებული აქვს ან დარჩება მამულის პატრონს.

4. კურორტების მოწყობა და მათი მართვა-გამგეობა ენდობა მიწათმოქმედების სამინისტროს საექიმო უწყებასთან შეთანხმებით.

5. ყოველივე ხელშეკრულობა, რომლითაც იჯარით გაცემული გამოდგება საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო მადნეული აბანოები, წყლები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე ადგილები, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

6. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

ქალაქის საბჭო.

ა. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით 4 ნოემბერს ქალაქის საბჭოს კრება შესდგა.

პირველათ საბჭოს მოხსენდა დადგენილობა იმ კომისიისა, რომელიც საბჭომ გასულ კვირას ამოირჩია ქალაქის ხმოსანთა არჩევნების წინასწარ მუშაობისთვის.

ამ კომისიის თავმჯდომარემ მ. ი. რუსიამ (სოც.-დემ.) მოახსენა, რომ ამ კომისიას პირველ სხდომაზე ქალაქის გამგეობასთან ერთად დაუდგენია: ეს კომისია უნდა იყოს მოსამზადებელი და არა ამსრულებელი და ამის კვალად დაუნიშნავს თავის მუშაობის გეგმა. მეორე სხდომაზე გადაუთვალიერებიათ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საარჩევნო კანონი და საჭიროთ უცვნიათ, მთავრობის წინაშე ეხლავე შუამდგომლობა აღძრას საბჭომ ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ, სხვათაშორის იმის შესახებ, რომ არჩევნებში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მარტო საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომებს, რომ ნამდვილ სამსახურში ჩარიცხულს ჯარის კაცს უფლება არ უნდა ეძლეოდეს არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს და რომ საბჭოს ხმოსნები ამორჩეულ უნდა იქმნენ ორის წლის ვადით.

ამ მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია. დაშნაკცაკანებში, რომელთა წარმომადგენელებს კომისიის სხდომაზე მონაწილეობა არ მიუღიათ (ერთი ავათმყოფობის გამო და მეორეც კიდევ სხვა მიზეზისა გამო არ დასწრებია,) იმ აზრს ადგნან, როგორც წინათ, რომ ეს კომისია ამსრულებელი კომისიათ ირიცხებოდეს და სცდილობდენ ქალაქის გამგეობას შეუმცირონ უფლება არჩევნების შესახებ სხვა და სხვა საკითხის გადაწყვეტაში (ამაზე ჰქონდათ საბჭოში ლაპარაკი ხმოსნებს იაგჯიანს და ტერ-სტეფანოვს).

ხმ. გოთუამ (ნაც.-დემ.) ის აზრი წარმოსთქვა, რომ ამავე კრებაში საბჭომ განიხილოს კომისიის მიერ დანიშნული შეცვლა კანონის ზოგიერთ მუხლისა, რათა ქალაქის მოურავმა თავის დროზე აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ამის შესახებ.

ამ შეცვლის დროს კომისიას მხედველობაში ჰქონდა ამ დღეებში მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ კანონი დამფუძნებელ კრებაში არჩევნის შესახებ.

ხმ. ხ ა ნ დ ა ნ ო ვ მ ა (კადეტი) ამგვარივე აზრი წარმოსთქვა.

ქალაქის მოურავმა აღიარა, რომ ქალაქის გამგეობა ყველა საყურადღებო საკითხს, რასაკვირველია, თითონ გადასწყვეტს და საბჭოს მოახსენებს წინდაწინ, სანამ აასრულებდეს კომისიის გადაწყვეტილებას.

კამათის შემდეგ საბჭომ მოიწონა, რომ ეს კომისია მოსამზადებელ კომისიათ ითვლებოდეს და არჩევნების შესახებ სხვა საგნებზე ბაასი შემდეგისთვის გადაიდო.

დღის წესრიგით საბჭომ განაგრძო განხილვა ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილი კანონ-პროექტისა ქალაქის გამგეობის ამ უფლების მიცემის შესახებ, რომლითაც მას შეეძლოს კერძო პირთა უძრავ მამულის შესყიდვა.

ხმ. ხანდანოვმა წინადადება შეიტანა ამ კანონ-პროექტის დამატების შესახებ, რომლის აზრი ის არის, რომ დასაფასებელი გადასახადი არ უნდა იყოს მეტი ორის ზომაზე იმ გადასახდელისა, რომელიც ერთმეოდა ამ მამულის პატრონს ხელახლად დაფასებამდე. ეს წინადადება საბჭომ უარჰყო.

საბჭომ ამ საღამოს განხილვა დაამთავრა და მიიღო მცირე შესწორებით.

ამის შემდეგ საბჭომ განიხილა ცალცალკე მუხლი იმ დადგენილებისა, რომლის ძალით ბინებზე ქირის მომატება სახლის პატრონებს არ შეეძლოთ. საბჭომ დაამტკიცა ის შეცვლანი ამ დადგენილებისა, რომელნიც იურიდიულმა კომისიამ შეიტანა.

დანარჩენი დრო ხმოსანთა მიერ შეტანილ გამოკითხვებზე ჰქონდათ დიდი კამათი.

თავმჯდომარემ განაცხადა ხმ. ხანდანოვის მიერ წარმოდგენილი შეკითხვა შესახებ მილიციის უფროსის მიერ გამოცემულ სავალდ. დადგენილებისა, რომლის ძალით მოქალაქეთ უნდა ჩამოერთვას იარაღი. ხმოსანი ეკითხება ქალაქის გამგეობას: ნებართვა მიუცია გამგეობას ამის შესახებ თუ არა.

ამ შეკითხვის ავტორი მოითხოვდა, რომ ამ საგანზე კამათი ამავე კრებაზე ყოფილიყო.

ხმ. ა რ ს ე ნ ი ძ ე (ს. დ.) ამ შეკითხვის შინაარსში ხედავს მარტო პოლიტიკურ დემონსტრაციას, და ეს გარემოება სისწრაფეს არ იწვევს. თუ არა პოლიტიკური დემონსტრაცია ამ შეკითხვას სხვა მიზანი არ აქვს, რადგანაც მილიციისუფროსი ასრულებს მთავრობის განკარგულებას.

კამათის შემდეგ საბჭომ ამ საკითხის განხილვის სისწრაფე უარყო.

ამის შემდეგ საბჭოს უნდა განეხილა ხმ. გოთუას (ნაც. დემ.) შეკითხვა, რომელიც ხმოსანმა 26 ავგისტოს წარუდგინა. ხმ. გოთუამ საბჭოს გამოუცხადა, რომ იგი თავის შეკითხვას უკან ღებულობს, რადგანაც ამ ორი თვის განმავლობაში ბევრი ცვლილება მოხდა, რომელსაც იგი სწერდა თავის შეკითხვაში და ურჩევდა საბჭოს გადადგომას. მაგალითად, ამ ჟამად საბჭო ყოველ ორშაბათს იკრიბება, ირჩევა ქალაქის საქმეები, ქართული ენა იანვრიდან იქნება შემოღებული. ქალაქის გამგეობაში, მალე მომავალ ხმოსანთა არჩევნებიც შესდგება და სხვა.

ხმ. პ ა პ ო ვ ი (სოც. დემ.) წინააღმდეგია ამ შეკითხვის უკან წაღებისა, რადგანაც მასში ბ. გოთუამ შეურაცყოფა მიაყენა ზოგიერთ ხმოსნებს განცხადებით, რომ ისინი საქართველოს დამოუკიდებლობას მტრულად ექცევიანო. ეს ცილის წამებაა, და ამიტომ შეკითხვის გამო უნდა გაიხსნას კამათი და თუ ეს არა სურს ბ-ნ გოთუას მაშინ იგი პოლიტიკური მშიშარაა.

ამ განცხადებამ შეტაკება გამოიწვია გოთუას და პაპოვის შორის. ხმ. გოთუამ განაცხადა, რომ იგი მშიშარა არ არის და მზათ არის ბ-ნი პაპოვი ბარიერზე გამოიწვიოს, მხოლოდ ამ ჟამად თავის შეკითხვას დაგვიანებულათ სთვლის და ამიტომ უკანვე იღებს.

კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო ხმ. არსენიძის რეზოლიუცია შეკითხვის მოხსნის შესახებ.

ღამის 12 საათზე საბჭოს დარბაზში ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ აღმოჩნდა და კრება დაიშალა.

გ. ჰ.

ომი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბ ე რ ლ ი ნ ი. 5 ნოემბერი. დასავლეთის ფრონტი. შელდისა და უაზის შუა ინგლისელები და ფრანგები კვლავ განაგრძობენ შემოტევას. ჩვენმა ჯარმა, შედარებით მცირემ, შესძლო მტრის შემოტევის წინააღმდეგობა და ხაზის გარღვევა შეეჩერებინა გზატკეცილის სამხრეთით, ვალანსიესის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ხაზების წინ მტერი მოვიგერიეთ. სებურგ—ვარგნი—ლე—გრანდის ახალ ფრონტზე მტერმა შემოტევა დაიწყო, რაც აღმოსავლეთის მხარის სიმაღლეებზეა. ამ ადგილებიდან კონტრ-იერიშით მოვიგერიეთ. ვარგნი-ლე-პტი, რომელიც მტერს ხელთ ჩაუვარდა, დავიბრუნეთ. ლე-კესნუას ორივე მხარეზე შემოსული მტერი ჩვენ შევაჩერეთ ვარგნი-ლე-გრანდის სამხრეთით და ჟოლიმეტცთან. ლე-კესნუა, რომელსაც ორივე მხრიდან საფრთხე მოელოდა, განკარგულების თანახმად დავცალეთ. მორმანის ტყისკენ იერიშით წამოსული მტერი ტყის დასავლეთ ნაწილში შევაჩერეთ. ტყის სამხრეთით ჩვენ ხაზების წინ მტერი შუადღემდე მოვიგერიეთ სამბრე უაზის არხის დასავლეთით მდებარე მაღლობებზე. შუადღის შემდეგ მტერი იერიშებს განაგრძობდა განსაკუთრებით ტყის ჩრდილოეთით და სამხრეთით. ტყის ჩრდილოეთით მტერი შევაჩერეთ, ჟოლი-მეტცის სამხრეთით და სამბრე-უაზის არხთან. სულმის არხზე კატილიონის აღმოსავლეთით მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ. კატილიონის სამხრეთით მტერი არხს აქეთ გადმოვიდა დაახლოვებით 2 კილ.; და ლაგრ-უაზის გზატკეცილთან იგი შევაჩერეთ. არხის წინ ფესნისა და ერტრეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ერტრესა და უაზის შუა ზოგან მტერმა შესძლო აღმოსავლეთის ნაპირზე გადმოსვლა, მაგრამ ჩვენს მოწინავე ხაზზე არ გადმოუშვით. უაზის სამხრეთით, საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, რომელიც დილამდე გაგრძელდა, მტერმა გიზ-ლია-ხორის სამხრეთით და ბუალია-პარნის წინააღმდეგ იერიშები მოიტანა. მოწინააღმდეგე ზოგან კონტრიერიშებით მოვიგერიეთ. ენის ფრონტზე ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა. ლე-ბონს და სომოტს შუა მტრის დროგამოშვებითი იერიშებმა უნაყოფოთ ჩაიარა. ბომონტის სამხრეთით მაღლობებზე ჩვენ ამერიკელების იერიშები მოვიგერიეთ. დიელეტოკის ტყეში ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია, და განკარგულების თანახმათ სტენეს ჩრდილოეთით, მაასის აღმოსავლეთის მხრებზე გამაგრდა. დანის სამხრეთით მტრის რაზმი, რომელსაც უნდოდა მაასზე გადმოსვლა, უკუ ვაგდეთ. მაასის აღმოსავლეთით მაღლობებზე მტრის მიერ მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ. მოზელის დასავლეთით ამერიკელები დრო გამოშვებით უტევენ.

ავსტრო-უნგრეთში.

(საქ. დეპ. სააგ.)

სეპარატიული ზავი.

ლიონი, 5 ნოემბერი. ავსტრიამ ხელი მოაწერა დროებითი ზავის მოკავშირეთა პირობებს. საომარი მოქმედება დღეს 15 საათზე შესწყდა.

ზავის პირობები.

დროებითი შერიგება ავსტრიასთან. დეპუტატთა პალატის სხდომაზე ოთხშაბათს კლემანსომ წაიკითხა მოკავშირეთა დროებითი შერიგების პირობები, რომელშიც ავსტრიისგან მოითხოვენ ხმელეთზე, წყალზე და ჰაერში სამხედრო მოქმედების დაუყონებლივ შეწყვეტას, ავსტრო-უნგრეთის ჯარის სრულ დემობილიზაციას, ავსტრო-უნგრეთის მიწა-წყალზე სანავოსნო და რკინის გზებზე მოკავშირეთა ჯარის თავისუფლად გადაზიდ-გადმოზიდვას და რამდენიმე სტრატეგიული (?) პუნქტების დაჭერას მოკავშირეების მიერ.

15 დღის ვადაში გერმანელთა ჯარების გაყვანა, სამხედრო ტყვეების და შეთანხმ. სახელმწიფოთა ქვეშევრდომების დაუყონებლივ სამშობლოში დაბრუნება. საზღვაო პირობების წესრიგში არის: ავსტრო-უნგრეთის გემთა მისვლისა და გასაჩერებელ ადგილის მითითება, მოკავშირეთათვის ფლოტის ნაწილის გადაცემა სახელდობრ: 15 წყალ-ქვეშა ავსტრო-უნგრეთის ნავი, 3 გემი, 3 კრეისერი, 6 მონიტორი და ყველა გემების განიარაღება, რომლებიც მოკავშირეთა კონტროლის ქვეშ იქმნებიან, ფლოტის საჰაერო ძალების კონცენტრაცია.

რევოლუცია.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 3 ნოემბ. უნგრეთის ეროვნულმა საბჭომ მანიფესტი გამოსცა, სადაც იუწყება, საყოველთაო საარჩევნო უფლება ორივე სქესისათვის ახლო მომავალში იქნება შემოღებული. ახალი არჩევნები ერთი კვირის შემდეგ მოხდება. ს. დ. პარტიამ პროკლამაცია გამოუშვა, სადაც ამბობს, რომ გაბატონებულთა კლასის ეგოიზმმა ჩვენი ქვეყანა რევოლუციამდე მიიყვანა. ოთხშაბათს ჯარი ნაციონალურ საბჭოს მიემხრო. „თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ თქვენ ბელადებთან ერთად ხართ“. ბუდაპეშტიდან ცნობა მოვიდა, რომ დუნაის ფლოტილიამ იცნო ნაციონალური საბჭო.

ვ ე ნ ა. 3 ნოემბერი. ავსტრიაში სამხედრო დამნაშავეთა, სახელმწიფო მოღალატეობისა, იმპერატორის შეურაცყოფისა, აჯანყებისა, ამბოხებისა, სამხედრო ჯაშუშებისა და სამშობლოს ღალატისათვის დაპატიმრებულთა ამნისტია გამოცხადდა.

ვ ე ნ ა შ ი. ჯარის კაცთა ოცამდე ყრილობა შესდგა, კვირისთვის დანიშნულ ჯარისკაცთა საბჭოების არჩევნების მოსამზადებლათ, სახელმწიფო საბჭომ მოწოდებით მიმართა ვენის მცხოვრებთ, ნუ მოაწყობენ ცალკე გვარდიებს. ჩეხელთა ეროვნულმა საბჭომ უბრძანა ჩეხურ ჯარს დაიპყროს მთელი რიგი ქალაქების გერმანულ ბოჰემიაში. მორავიასა და სილეზიაში შეცეხოვნე ჯარებმა ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებები

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1918 წ. სექტემბრის 13 დადგენილებით, კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში მე-137 №-ით შეტანილია ამიერ-კავკასიის მომხმარებელი საზოგადოება „როსია". 579 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1918 წ. ივლისის 18 დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში 122 №-ით შეტანილია ტფილისის დამხმარებელთა საზოგადოება რუსულ საშუალო სკოლის. 584 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1918 წ. ივლისის 4 დადგენილებით, იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც აზრად მოგების გაღება არ აქვთ დასახული, მე-21 №-რით შეტანილია ორიენტალისტ პრაქტიკოსთა კავშირი (ისეთ პირთაგან, რომელთაც სპეციალური ცოდნა აქვთ მიღებული აღმოსავლეთის შესწავლის). 583 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1918 წ. ივლისის 4 დადგენილებით, კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში, მე-48 №-ით შეტანილია ტფილისის დამხმარებელი საზოგადოება. „ჩვენი დახმარება". 582 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილება აცხადებს, რომ სასამართლოს 1918 წ. ივნისის 20 დადგენილებით, კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში მე-113 №-ით შეტანილია ქ. ტფილისის მეათე უბნის მომხმარებელი საზოგადოება „პროდოვოლსტვიე". 531 1—1

მიხეილ ივანეს ძე ცაგარელი აცხადებს, რომ გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს რწმუნებულობის ქაღალდი, მიცემული ქ. დუშეთში მცხოვრებ ზაქარია ზაქარიას ძე სიანაიძესადმი 1917 წელს. 989 3—2

წინადადებას ვაძლევ მას, ვისაც მე, ტფილისის სადგურზე მივაბარე ნივთები: ჩემოდანი, რომელშიაც იყო საბუთები და სხვა და სხვა ნივთები და ნაბადი უკანვე დამიბრუნოს, რისთვისაც მიიღებს ჩემგან კარგ საჩუქარს, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები გამოვაშკარაო მისი ფიზიონომია და აღვძრა საჩივარი მის წინააღმდეგ სასამართლოს წინაშე. მისამართი: ორბელიანის შესახვევი, სახლი № 2, მესამე სართული, ლევან სიმონის ძე ფირალოვი. 991 3—2

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 13-ს მის მიერ დამტკიცებულია გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნესტორ კუჭუას ძე ბარძემიშვილმა 1.000 მან. მიჰყიდა სიმონ დიმიტრის ძე პარასკევოპულოს მამული ქ. გუდაუთში, ზომით 125 ოთხკ. საჟ 376 3—3

ალექსანდრე გრიგოლის ძე უგუზაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რევოლვერი „ბრაუნინგი"-ს სისტემისა № 183274. 995 3—3

დაკარგულია პირველ ტფილისის კერძო ლომბარდის ბილეთი № 73085 400 მანეთისა. 989 3—2.

დავკარგე ნოემბრის 2, ხელის კალათი. კალათში იყო 1) 255 მან., 2) ჩემი პირადობის მოწმობა, მოცემული ადესის ქართულ საკონსულოდან, რომ მე გამოგზავნილი ვიყავი ქართული საზოგადოების გამგეობისაგან შიკრიკათ; წერილები: ნ. ჟორდანიას, ივ. ლორთქიფანიძის, პროფ. მელიქიშვილის სახელზედ და სხვებისთვის. იყო აგრეთვე წიგნები შემნახველი კასის და სხვა ქაღალდები. ვთხოვ მპოვნელს დამიბრუნოს მისთვის გამოუდეგარი ნივთები შემდეგის მისამართით: ტფილისი, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 107, ბინა ალავიძისა, გრიგოლ დალაქიშვილს. 998 3—2

ივლიანე დირდალაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1) პირადობის მოწმობები, თავისი და მეუღლის, 2) ორი უფასო რკინის გზის ბილეთი (თავისი და მეუღლის), 3) სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, 4) საფულე 300 მანეთით და მეტრიკული მოწმობა. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს: იურევის ქუჩა, № 28. 999 3—2

შორაპნის მაზრის კომისარიატი აცხადებს, რომ სოფელ დაბაკინში მცხოვრებმა ლეონტი კელენჯერიძემ დაჰკარგა აღმასრულებელი ფურცელი, № 368 მიღებული ყვირილის მომრიგებელი მსაჯულისაგან ამა წლის აპრილის 3. მნახველს სთხოვს გაუქმებულად ჩათვალოს. 803 3—3

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 7 დამტკიცებულია სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ეგნატე ოსიპის ძე პაევსკიმ 18000 მან· მიჰყიდა ალექსი ნიკოლოზის ძე კაზანაძეს 2 ნაჭერი მიწა ქ. სოხუმში, ლიტ'„ მ." ზომით 215 ოთხკ. საჟ. 435 3—3

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 7 ყადალა დადებული არონ მორთხაის ძე გურჯის ქონებაზე 1917 წლის ყადალათა კრებ. № 82. გაუქმებულად ითვლება. 439 3—3

დავკარგე: 1) უვადო პასპორტი ტფილ. პოლიცმ. კანცელარიიდან მიცემული 1908 წ. 2) სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა თედორე ლევანის ძე ნუცუბიძის სახელზე, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 990 3—3

სენაკის მაზრის კომისარი აცხადებს, რომ მიტროფანე ჯღარკავასამ დაჰკარგა იარაღის ტარების ნებართვა № 1269, მიცემული სენაკის კომისარიატის მიერ. მნახველს სთხოვენ გამოგზავნოს სენაკის მაზრის კომისარიატში. 803 3—3

30 ოქტ. დავკარგე საფულე კახეთის მოედანზე, რომელშიც იმყოფებოდა სხვა და სხვა საბუთები: 1) იარაღის ტარების ნება ნაგანისა № 87640, 2) პიროვნების მოწმობა № 630, 3) სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის შტაბის მოწმობა პოდპორუჩიკობის მიღებისა № 789, 4) ლატარიის ბილეთი № 229. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: საქართველოს სამხედრო სამინისტროს საავეჯო ნივთსაწყობში, პოდპორუჩიკი მელაძე. 992 3—2

ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა

ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდების § 14 ძალით, ამა 1918 წლის ქრისტეს შობისთვეს, ბანკის სადგომში, ქ. ტფილისში ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში მოხდება ქვემოდ ჩამოთვლილ პირთა მოძრავ მამულების საჯარო გაყიდვა, რადგან ხსენებულ პირთ არ შემოუტანიათ ამ ბანკიდან აღებულ სესხის კვალობაზე სათანადო გადასახადი, რომელიც დაწესებულია ბანკის წესდების §§ 12, 17, 27, 28 და 34 1918 წ. იანვრის 1-დან. მკათათვის 1-მდე.

მამულების საჯარო გაყიდვა მოხდება 1918 წ. ქრისტესშობისთვის 20, თუ ამ დღეს არ მოჩა გაყიდვა, იგი შემდეგ დღეებსაც გასტანს გარდა კვირა უქმეებისა.

ზემო აღნიშნულ დროსთვის დანიშნულმა საჯარო ვაჭრობამ თუ კარგად ვერ ჩაიარა, მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა, ბანკის წესდების § 20 თანახმად, მოხდება იმავე მმართველობაში 1919 წ. იანვარში.

ბანკის წესდების § 17 თანახმად, საჯარო ვაჭრობა დაიწყება კაპიტალურ ვალის ქვემოდ ნაჩვენებ ნაშთების ჯამიდამ, რასაც მიეთვლება აქვე ნაჩვენები დარჩენილი გადასახადეროგორც ბანკის ისე საერობო თუ საქალაქო გადასახადები, რაც კი იქნება შეწერილი მამულზე დღემდე საჯარო ვაჭრობისა. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად, ვისაც ჰსურს მამულის ყიდვა უნდა წარადგინოს ნაღდი ფული საწინდრად, რაც უნდა უდრიდეს ბანკის დარჩენილ გადასახადების და საქალაქო, თუ საერობო გადასახადების ჯამს, რაც აღმოჩნდება შეწერილი მამულზე საჯარო ვაჭრობის დღემდე.

საჭირო თანხა და საჯარო ვაჭრობაზე დამატებული მთელი ჯამი მსყიდველმა უნდა წარუდგინოს ბანკის საჯარო ვაჭრობის შემდეგ 14 დღის განმავლობაში.

მამულების კაპიტალური ვალი მყიდველს შეუძლიან გადაიწეროს თავის სახელზე. ამასთან იგი კისრულობს ძველ პატრონის ყველა მოვალეობას.

ბანკის წესდების § 15 თანახმად პატრონს შეუძლიან შემოიტანოს დარჩენილი გადასახადი საჯარო ვაჭრობამდის და ამით შეუძლიან თავისი მამული საჯარო ვაჭრობაში არ ჩაავდოს.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიანთ გაეცნონ გასასყიდ მამულების შესახებ შედგენილ საქმეებს ბანკის კანცელარიაში სამუშაო დღეებსა და საათებში.

ამასთან ბანკის მმართველობა აცხადებს, რომ თუ ვინიცობაა გასასყიდ მამულების პირვანდელი აღწერილობა არ შეეფერება მამულების ნამდვილ მდგომარეობას, ბანკი პასუხისმგებობას არ კისრულობს.

ქალაქის მამულები,

რომელთა გირავნობით გაცემულია გრძელვადიანი სესხი. ტფილისის გუბერნია.

ქ. ტფილისი.

აბაზა, ლიუდმილა ზაქარიას ასული. შენობები ადგილით, ზომა დაახლოვებით 191 კვად. საჟენი. ძე-10 უბანი. ალექსანდროვის ქ. № 47. კაპიტალური ვალი 23327 მ. და 47 კ. დარჩენილი გადასახადი 931 მ· და 80 კ.

აბდულაევი, მირ ალია. ადგილი შენობებით, ზომა 567, 19 კვ. საჟ. მე-3 უბანი ბებუთოვის ქუჩა, № 64. კაპიტალური ვალი 19689 მ. და 25 კ. დარჩენილი გადასახადი 749 მ. და 7 კაპ.

აბოევი, გევორქ ივანეს-ძე. ადგილი, ზომა დაახლოვებით 1966 კვ. საჟ. მე-7 უბანი კახეთის ქ. კაპიტალური ვალი 4352 მ. და 15 კ. დარჩენილი გადასახადი 223 მ. და 5 კ.

აბრამოვი, ვასილ ივანეს-ძე. ადგილი შენობებით, ზომა დაახლოვებით 66,5 კვ. საჟ. მე-9 უბანი ნოვო-არსენალის ქ. კაპიტალური ვალი 3144 მ. და 96 კ. დარჩენილი გადასახადი 128 მ. და 68 კ.

აფხაზაშვილი არშაკ მიხეილის-ძე. ადგილი შენობებით, ზომა საბუთებით 70 კვ. საჟ. გაზომვის შემდეგ კი აღჩნდა 54,4 კვ. საჟ. მე-7 უბანი სურფ-კარაპეტის ქ. № 9. კაპიტალური ვალი 2904 მ. 95 კ. დარჩენილი 145 მ. და 83 კ.

ავეთიკოვისა, ევგენია ვასილის ასული. ადგილი შენობებით, ზომა დაახლოვებით 300 კვ. საჟ. მე-6 უბანი ვორონცოვის ქ. კაპიტალური ვალი 2397 მ. და 46 კ. დარჩენილი გადასახადი 108 მ. და 73 კ.

ავეტისოვი, ალექსანდრე გრიგოლის ძე. ადგილი შენობებით, ზომა დაახლოვებით 95 კვ. საჟ. მე 2-ე უბანში დავიდოვის და ყიფიანის ქაჩაზე № 17|8. კაპიტალური ვალი 19324 მ. 32 კ. დარჩენილი გადასახადი 790 მან. 5 კაპ.

აგარონოვა, ეკატერინე იგორის ასული. შენობები ადგილით ზომა დაახლოვებით 32 კვ. საჟ. 4, უბანი თომას შესახვევი. კაპიტალური ვალი 3094 მან. 3 კაპ· დარჩენილი გადასახადი 260 მ. 3 კაპ.

